

შპს ჯორჯიან ჰოლიდები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ბოლო გვერდი	11

შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	203	1,067
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		7	650
გადახდილი ავანსები		-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	17,211	16,964
წინასწარ გადახდილი გადასახადები		21,689	18,301
სულ მიმდინარე აქტივები		39,109	36,982
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,926,163	2,055,218
არამატერიალური აქტივები		400	640
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,926,563	2,055,858
სულ აქტივები		1,965,672	2,092,840
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	17,392	19,616
საგადასახადო ვალდებულება		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	544,537	509,037
სულ მიმდინარე ვალდებულებები		561,928	528,652
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		561,928	528,652
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,946,059	1,946,059
გაუნაწილებელი მოგება		(542,314)	(381,871)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,403,744	1,564,187
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,965,672	2,092,840

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი




შპს „ჯორჯიან ჰოლიდეი“

ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	8	16,959	221,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		16,959	221,000
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(147,618)	(285,000)
საოპერაციო ხარჯები		(2,614)	(48,000)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(28)	-
სხვა შემოსავალი		162	-
საპროცენტო ხარჯები		(27,305)	(19,000)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(160,443)	(131,000)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(160,443)	(131,000)

ხელმომწერი პირი:

დირექტორი




შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	3	203	1,067
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		7	650
გადახდილი ავანსები		-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	17,211	16,964
წინასწარ გადახდილი გადასახადები		21,689	18,301
სულ მიმდინარე აქტივები		39,109	36,982
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	5	1,926,163	2,055,218
არამატერიალური აქტივები		400	640
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,926,563	2,055,858
სულ აქტივები		1,965,672	2,092,840
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	17,392	19,616
საგადასახადო ვალდებულება		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	544,537	509,037
სულ მიმდინარე ვალდებულებები		561,928	528,652
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		561,928	528,652
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,946,059	1,946,059
გაუნაწილებელი მოგება		(542,314)	(381,871)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,403,744	1,564,187
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,965,672	2,092,840

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“

ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	8	16,959	221,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		16,959	221,000
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(147,618)	(285,000)
საოპერაციო ხარჯები		(2,614)	(48,000)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(28)	-
სხვა შემოსავალი		162	-
საპროცენტო ხარჯები		(27,305)	(19,000)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(160,443)	(131,000)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(160,443)	(131,000)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ: 404531529) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2017 წლის 13 თებერვლიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ივ. თარხნიშვილის პირველი ჩიხი, N3.

კომპანიაში წილის მფლობელები ნაწილდება შემდეგნაირად - 50% - ლუიზა გრიგალაშვილი, 50% შპს „3G-Georgian Global Group“.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ლუიზა გრიგალაშვილი.

შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს მომსახურება.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2019 და 2020 წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს კომპანიისა და მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველა შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით

გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“

შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2020
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	8
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	22
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	173
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-
სულ ფულადი სახსრები	203

4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2020
მარაგები	-
მზა პროდუქცია	5,984
სხვა მარაგები	11,227
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	17,211

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	2,279,260	98,309	2,377,569
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	2,279,260	98,309	2,377,569
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2019	284,835	37,516	322,351
ცვეთა	113,963	15,092	129,055
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	398,798	52,608	451,406
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	1,994,425	60,793	2,055,218
31 დეკემბერი 2020	1,880,462	45,701	1,926,163

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020
ვალდებულება პარტნიორის მიმართ	5,373
მიღებული ავანსები	2,570
სავაჭრო ვალდებულებები	9,449
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,392

7. სესხები

სესხები	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ძირი	471,445
მიმდინარე სასესხო ვალდებულება პროცენტი	73,091
სულ სესხები	544,537

8. ამონაგები

ამონაგები	2020
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	15,721
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,239
სულ ამონაგები	16,959

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2020
ხელფასის ხარჯი	8,231
ცვეთის ხარჯი	129,295
სხვა ხარჯი	10,093
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	147,618

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

პერიოდის შემდგომ გაგრძელდა covid-19-ის პანდემია, რამაც დიდი გავლენა იქონია ბიზნესის სხვადასხვა სფეროებზე, მათ შორის ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა ტურიზმის სფეროს. ვინაიდან შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“ წარმოადგენს ზემოხსენებულ სფეროს, კომპანიას მოუწია სხვადასხვა მტკივნეული ნაბიჯების გადადგომა, მათ შორის თანამშრომლების დიდი ნაწილის სამსახურიდან დათხოვნა. ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს, შეინიშნება დადებით მაჩვენებლები ტურიზმის აღდგენაში, რამაც უნდა გამოასწოროს კრიზისული მდგომარეობა.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 4 იანვარს.